ერიკ ბლაიფონი

საიდუმლო შვილები

შვილდეულის მორიგი წარმატება

ინგლისურიდან თარგმნა
მაია წითაძემ

სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

თავი პირველი საიდუმლო შვიდეულის შეკრება.....5

თავი მეორე საოცარი იდეა.....9

თავი მესამე დიდი ხე.....13

თავი მეოთხე ხის სახლის მოწყობა.....18

თავი მეხუთე დიდი მხიარულება.....22

თავი მეექვსე მომდევნო დილა.....30

თავი მეშვიდე ტყე ღამით.....34

თავი მერვე ქუჩდი ხის სახლში.....39

თავი მეცხრე მოჩიგი შეხვედრა.....44

თავი მეათე ჯეფი ცდილობს, გაიხსენოს.....49

თავი მეთერთმეტე თათბირი და გეგმის შედგენა.....54

თავი მეთორმეტე ემა ღეინი.....59

თავი მეცამეტე უსიამოვნო მოულოდნელობა.....64

თავი მეთოთხმეტე გონებამახვილი ჯოჩჯი.....69

თავი მეთხუთმეტე წითელი ბუჩთი.....74

თავი მეთექვსმეტე MKX რაღას ნიშნავს?.....79

თავი მეჩვიდმეტე მთავარი საიდუმლო.....84

თავი მეთვრამეტე ამაღელვებელი დასასრული.....89

თავი პირველი

საიდუმლო შვიდეულის შეკრება

– სად არის ჩემი გულსაბნევი? გულსაბნევს ვერ ვპოულობ! არადა, ზუსტად მახსოვს, ამ უჯრაში ჩავდე! – წამოიძახა ჯანეტმა და ჰაერში ცხვირსახოცების, წინდებისა და ლენტების ორომტრიალი დააყენა.

– რას აკეთებ ჯანეტ?! – გაბრაზდა დედა, – ეგ უჯრა ამ დილით დავალაგე. რას ეძებ, საიდუმლო შვიდეულის გულსაბნევს?

– ჰო! ამ დილით შეკრება გვაქვს და გულსაბნევის გარეშე ვერ წავალ. ზუსტად ვიცი, პიტერი ფარდულში არ შემიშვებს! როცა საქმე გულსაბნევს ეხება, საშინლად მკაცრია, – უპასუხა ჯანეტმა და ცხვირსახოცების სხვა შეკვრა გადმოყარა.

– სხვათა შორის, მაგ უჯრაში ტყუილად ეძებ, – გაუღიმა დედამ. მერე დაიხარა და იატაკზე დაგდებული პატარა მრგვალი გულსაბნევი აიღო, ზედ ფაქიზად დაწებებული „ს.შ.“ ინიციალებით, – წეღან ცხვირსახოცთან ერთად გადმოგივარდა, პატარა ბრიყვო!

– ჩქარა, ჩქარა მომეცი, დედა! – ჯანეტი გულსაბნევს წაეპოტინა, მაგრამ დედამ ხელი მაღლა ასწია და ძირს დაყრილ ნივთებზე მიუთითა:

– ჯერ ეს ყველაფერი აკრიფე, დაკეცე და როგორც იყო, ისე ჩაალაგე უჯრაში!

– მაგრამ საიდუმლო შვიდეული ხომ ხუთ წუთში შეიკრიბება! პიტერი უკვე ფარდულშია... – აწუწუნდა ჯანეტი.

– არა უშავს, ცოტა დააგვიანე, – დედა ოთახიდან გავიდა და გულსაბნევიც თან გაიყოლა.

ჯანეტმა ამოიოხრა. მერე ყველაფერს ერთიანად მოხვია ხელი და უჯრაში ნაჩქარევად ჩაყარა. კიბეზე სწრაფად ჩაირბინა და დედას გასძახა:

– უკვე მოვრჩი, დედა. გპირდები, როცა მოვალ, საგულდაგულოდ დავალაგებ ყველაფერს!

დედას გაეცინა და ჯანეტს გულსაბნევი გაუწოდა:

– აჰა, გამომართვი და წადი შენი საიდუმლო შვიდეულის შეკრებაზე! ნეტა როგორ ძლებთ ასეთ სიცხეში იმ ჩახუთულ ფარდულში?! კარი ან ფანჯარა მაინც გამოაღეთ!

– არ შეიძლება! ეს ხომ საიდუმლო ორგანიზაციაა! ვერ დავუშვებთ, ვინმემ მოგვისმინოს! ისე, ამ ბოლო დროს საინტერესო არაფერი მომხდარა. გვინდა გამოვცოცხლდეთ, თავგადასავალი გვწყურია! დაახლოებით ისეთი, ბოლოს რომ გვქონდა.

– ნამცხვარი და ფორთოხლის წვენი წაიღე თან. აი, ელვაც! ალბათ შენ გეძებს.

საყვარელი ოქროსფერი სპანიელი ხტუნვა-ხტუნვით შემოვიდა ოთახში და ჯანეტს საყვედურით შეუყეფა.

– ვიცი, რომ დამაგვიანდა, – გოგონამ ხელი მოუთათუნა ძაღლს, – ალბათ პიტერმა გამოგგზავნა ჩემს წასაყვანად, არა? წამო, წავიდეთ!.. დედა, გმადლობ ნამცხვრებისა და წვენისთვის, – გოგონა ეზოს ბილიკს გაუყვა, გულზე მიხუტებული ნამცხვრის კოლოფითა და წვენის ბოთლით.

როცა ფარდულს მიუახლოვდა, შიგნიდან ხმები შემოესმა. ეტყობოდა, დანარჩენი ექვსი უკვე იქ იყო!

ჯანეტმა კარზე დააბრახუნა. ელვამაც ჩამოფხაჭნა კარი.

– პაროლი გვითხარი! – ექვსივემ ერთხმად გამოსძახა.

– „თავგადასავალი!“ – დაიყვირა ჯანეტმა იმ კვირის პაროლი, ურომლისოდაც კრებაზე არავის უშვებდნენ.

კარი პიტერმა გააღო, ჯანეტის ძმამ, და კოპებშეყრილმა შეათვალიერა და.

– ასე ხმამაღლა უნდა გეყვირა პაროლი?! – უსაყვედურა ჯანეტს.

– მაპატიე, ერთხმად რომ დამიძახეთ, მეგონა, მეც უნდა მეყვირა. ნუ გეშინიათ, ახლომახლო არავინაა... აი, ნამცხვრები და წვენი მოგიტანეთ.

პიტერმა ჯანეტს გულსაბნევი შეუმოწმა. ათიოდე წუთის წინ თვითონვე ნახა, როგორი გამწარებული ეძებდა და გადაწყვიტა, თუ ვერ იპოვის, კრებაზე არ დავუშვებო. მაგრამ ჯანეტი გადარჩა – მას გულსაბნევი კაბაზე დაებნია!

ჯანეტი ფარდულში შევიდა. პიტერმა კარი მიხურა

და ბოქლომი დაადო. დახურულ ფანჯრებში ზაფხულის მცხუნვარე მზის სხივები იჭრებოდა.

– ღმერთო ჩემო! აქ ყველაფერი დუღს! – ლოყები გაბერა ჯანეტმა, – ალბათ, დავდნები.

– ყველანი ვდნებით! ჩემი აზრით, ასეთ სიცხეში ყოველკვირეული კრებების ამ ფარდულში გამართვა სისულელეა! რატომ ტყეში არ მოვაწყობთ შეხვედრას? – აზრი გამოთქვა პემმა.

ჯეკმა მაშინვე უარყო:

– ჩემი და, სუზი, ტყეში ხეტიალისას მოგვაგნებს და საიდუმლო შეკრებას ჩაგვიშლის.

– მაშინ ისეთი ადგილი მაინც მოვძებნოთ, სადაც სიგრილეც იქნება და ვერც ვერავინ გვიპოვის! – თქვა კოლინმა, – მაგალითად, მე ეზოში მაქვს სამალავი, სადაც ვერავინ მპოულობს ხოლმე. თანაც იქ ისე გრილა...

– ეგ სად არის? – იკითხა ჯეკმა.

– ხეზე. ეზოში ვეებერთელა, ხშირტოტებიანი ხე გვიდგას. შუა ტოტებზე ბალიშები ისე დავაწყვე, რომ დასაჯდომად მოსახერხებელი იყოს, და – ყუთი, სადაც რაღაცებს ვინახავ. ხეზე ყოველთვის ნიავი უბერავს და გრილა. თან იქიდან შესანიშნავი ხედია. თუ ვინმე მომიახლოვდება, იმასაც მშვენივრად ვხედავ ხოლმე.

ყველამ ყურადღებით მოუსმინა კოლინს და თვალებგაბრწყინებულებმა ერთმანეთს გადახედეს.

– გადასარევი იდეაა! – თქვა პიტერმა, – ამიერიდან ხეზე მოვაწყობთ შტაბს და ამის შესახებ არავის ეცოდინება!

თავი მეოხე

საოცარი იდეა

მაშ ასე, საიდუმლო შვიდეულმა ახალი იდეა ერთხმად მოიწონა. კოლინს თავი ამაყად ეჭირა, რადგან იდეის ავტორი გახლდათ.

– ახლა მთავარია, დიდი, ტოტებგაშლილი ხე ვიპოვოთ, – განაცხადა პიტერმა, – ზემოთ ფიცრებს, ბალიშებს და ყუთებს ავიტანთ – ნამცხვრების, წვენისა და წიგნების შესანახად.

– მაგარი იქნება! – დაეთანხმა ჯანეტი, – ვერავინ გამოიცნობს, სად ვიკრიბებით და ვერც იმას მოისმენენ, რას ვიტყვით.

– ახლავე გავიდეთ ამ ჩახუთული ფარდულიდან და დიდი ხე მოვძებნოთ, – შესთავაზა დანარჩენებს კოლინმა, – ზუსტად ვიცი, რას გრძნობს ნაყინი, როდესაც ლღვება. შეხედეთ საბრალო ელვას! ისე ქელავს, თითქოს რბოლა მოეგოს.

მართლაც, ძაღლს გრძელი, ვარდისფერი ენა გადმოეგდო და ხმაურით სუნთქავდა.

პიტერი წამოდგა და ძაღლს ყურებზე მიეფერა.

– წამო, მეგობარო. ნაკადულთან რომ მივალთ, წყალს დაგალევინებ.

ბავშვებმა ნამცხვრების ყუთი აიღეს და გარეთ გამოვიდნენ. ბოთლში კი წვეთი წვენიც აღარ იყო – სულ დაელიათ. ელვა ადგილს მოსწყდა და ნაკადულისკენ გავარდა.

– ჰეი, შენ, მთლად არ ამოაშრო ნაკადული! – სიცილით მიაძახა პიტერმა.

ძაღლი ხარბად დაეწაფა წყალს. ბავშვებმა აღარ დაუცადეს და გზა განაგრძეს.

– ტყეში შევიდეთ, იქ ბევრი უზარმაზარი ხეა.

მართლაც ტყისკენ აიღეს გეზი და შიგნით შესვლისთანავე სასიამოვნო სიგრილე იგრძნეს.

– ახლა კარგად დავაკვირდეთ, ისეთი ხე უნდა მოვძებნოთ, შვიდივეს რომ თავისუფლად დაგვიტევს, – თქვა ჯეკმა.

– მერე, ელვა? – გაახსენდა ჯანეტს, – ის რომ ვერ ამოვა ხეზე?

– რამეს ჩავაბამთ და ისე ამოვიყვანთ, – მოიფიქრა ჯორჯმა.

– არა, ეგეთ რამეებს ვერ იტანს, – იუარა პიტერმა, – არა უშავს, თუ ვერ ამოვა, ეგ ხომ ნამდვილი წევრი არ არის. შეუძლია, ხის ძირში იჯდეს და გვიდარაჯოს.

– კარგი აზრია! – მოუწონა ბარბარამ, – თუ ვინმე მოგვიახლოვდება, დაიყეფებს. შესანიშნავი კარის დარაჯი გვეყოლება.

– კარის არა, ხის! – შეუსწორა პემმა, – შეხედეთ, ამ ხეზე რას იტყვით? ნახეთ, რამოდენაა!

– ეს არ გამოგვადგება, – დაუწუნა პიტერმა, როცა ხე შეათვალიერა, – ქვემოთ ტოტები არა აქვს. ჩვენ კი იოლად ასაძრომი ხე გვჭირდება, თორემ მთელი დრო ხეზე ასვლა-ჩამოსვლაში თუ დავხარჯეთ, რაღა გამოვა.

ბავშვები სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ და ცალ-ცალკე შეუდგნენ სასურველი ხის ძებნას. სხვათა შორის, იოლი მოსაძებნი არ გამოდგა, რადგან ამხელა ტყეში ძალიან ცოტა იყო ისეთი ხე, უზარმაზარიც რომ ყოფილიყო, თანაც ქვემოდანვე დატოტვილი. აი, ჯორჯმა იპოვა ერთი, მაგრამ ზედ როცა აცოცდა, მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო იქ რაიმენაირი სახლის მოწყობა.

– არ გამოგვადგება! – ჩამოსძახა მეგობრებს, – გადახლართული ტოტები აქვს, თან არცთუ ისე მსხვილი.

– ყველანი აქ მოდით! – იყვირა უცებ ჯეკმა, – აბა, ამ ხეზე რას იტყვით?

ბავშვებმა სასწრაფოდ მიირბინეს.

– ეს მართლაც შესაფერი ჩანს, – მოეწონა კოლინს, – ერთი ტოტი დაბლა აქვს, ჩვენი წელის სიმაღლეზე, ზედ ფეხს თუ შევდგამთ, იოლად ავცოცდებით. მეორე ტოტიც აქვეა. თანაც გაშლილი ტოტები აქვს... მოდი, ავძვრები და კარგად შევამოწმებ.

– არა, მე ავძვრები, – შეაჩერა ჯეკმა, – იმიტომ, რომ პირველმა ვნახე. შენ უკან გამომყევი!

ჯეკმა დაბალ ტოტზე ფეხი შედგა და ზემოთ შეუყვა. ფეხებს ხის კორძებზე იმაგრებდა, რომლებიც თითქოს სპეციალურად ჰქონდა ხეს, კიბის მაგივრობა რომ გაე-

წია. ბოლოს იმ ადგილსაც მიაღწია, სადაც ხე იტოტებოდა.

– მშვენიერია! – ჩამოსძახა დანარჩენებს. – აქ დაახლოებით ექვსი დიდი ტოტია, თითქმის თანაბარ სიმაღლეზე, და კიდევ ფულუროცაა, რომელსაც კარადად გამოვიყენებთ. ამოდით! ადგილი ყველას გვეყოფა!

ბავშვები გახარებულები აბობღდნენ ხეზე. პიტერმა გადაწყვიტა, ყველაზე ბოლოს ასულიყო, რათა თუ ვინმეს გაუჭირდებოდა ასვლა, დახმარებოდა.

– მგონი, ეს ყველაზე დიდი ხე არის ამ ტყეში, – განაცხადა პიტერმა, როცა ყველანი ტოტებზე მოთავსდნენ, – როგორ გაგვიმართლა, რომ მივაგენით, თანაც ტოტები ერთ სიმაღლეზე აქვს. ფულურო სადღაა, ჯეკ?

– აი, ფულუროც, – ჯეკმა გვერდზე გაიწია და ფულურო გამოაჩინა. ყველამ დაინახა დიდი ხვრელი. ჯეკმა შიგნით ხელი შეყო შესამოწმებლად.

– თითქმის ერთ მეტრის სიღრმე აქვს, კარგი სათავსი იქნება, ზუსტად ისეთი, ჩვენ რომ გვჭირდება! აბა, რას იტყვით, გამოგვადგება ეს ხე საიდუმლო შვიდეულის შეკრების ადგილად?

– რა თქმა უნდა! – მიუგო ყველამ ერთხმად და დაიწყეს თათბირი იმაზე, თუ როგორ მოაწყობდნენ მას, ნამდვილ სახლად რომ ქცეულიყო.

პიტერმა ბლოკნოტი ამოიღო.

– აბა, მეგობრებო, რიგრიგობით გამოთქვით თქვენ-თქვენი მოსაზრება, მე კი ყველას ჩავინიშნავ.